


გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას
თავისუფალ საქართველოში!

გაუმარჯოს საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკას!

# ,,თეატრი და ცხოვრება‘‘

წლიურად 25 მან., ნახევარ წლით 15 მან. თითო ნომერი—5 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის ქ. № 20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. თბილისი, რედ. „თეატრი და ცხოვრება“ იოსებ იმედაშვილს.

1919 წ. № 3 კვირა, აპრილის 6 | ფასი 5 მან. | წელიწადი მეშვიდე გამოცემისა

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლის ჟურნალ ,,თეატრი და ცხოვრება‘‘-ზე წლიური ფასი 25 მან.



† მგოსანიქალი ნინო ორბელიანისა
გარდაიცვალა მარტის 17-ს.



იასე ჭრაქველი
არდაიცვალა მარტის 2-ს ლაგოდეხში.



მ. ი. ჰაუერზაკსი
სახელმწიფო თეატრის პრიმა-ბალერინა. ცნობილი მოცეკვავე.



ს. ი. ევლახიშვილი
სახელმწიფო თეატრის ანტრეპრენიორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება, — არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ, — თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 ს. და 10 წ. ტფილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

## საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

„მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრივ მტრისაგან შევიწროებული საქართველო თვისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

„რუსეთის დიდი რევოლიუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი სამხედრო ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერკავკასია.

„დარჩნენ რა თვისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზედგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა

„ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

„ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა — დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნული უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე“.

# მარტის თორმეტი

ამა წლის მარტის თორმეტმა ჩვენის ქვეყნის ცხოვრების ახალი ხანა დაიწყო; თორმეტი მარტი მიჯნაა ძველსა და ახალს შორის, მონურ და თავისუფალ საქართველოს შორის... იგია სამანი ხალხის უუფლებობისა და სწორუფლებიანობის გზა ჯვარედინზე აღმართული მანამდე თუ პოლიტიკურ ყმობის სახელს ვატარებდით, ამიერიდან სრულ უფლებიან მოქალაქეებად შევიმოსენით.

და ვაი მას, ვინც ამ უფლებას შეგნებით არ მოეკიდება.

ამ დღეს შეიკრიბა ყველა ქეშმარიტი მამულიშვილისა და დემოკრატის ნანატრი საქართველოს დამფუძნებელი კრება,—

ქართველი ერის ნება სურვილის გამომხატველი უზენაესი სახელმწიფო დაწესებულება...

შეიკრიბა იგი მეტად მძიმე პირობებში, მაშინ, როდესაც ათასი ჯურის მტრები ჩვენს ქვეყანას შიგნით და გარედან მოსვენებას არ აძლევენ, როდესაც საქართველოს ბევრ საუკეთესო შვილთა სისხლი იღვრება, ცხოვრება კი აწეწილ დაწეწილია.. მიუხედავათ ამისა, მაინც გვჯერა, რომ ქირში ნაწრთობი თავის ბელადებ-ს ხალმძღვანელობით ხალხის ცხოვრებას უსულგულო, გზაგაკვალულ რეზოლიუციებით კი არ გამოხვევს ბურუსში არამედ ქვეყნის ყოველგვარ ტკივილს მიუდგომლობით გამოიკვლევს, ერის ყველა მოქმედ ძალას მის სამკურნალოდ გამოიყენებს და ჩვენს ბევრნაირად განაწამებ ქვეყანას უფლებრივ, ქონებრივ და გონებრივ აღორძინებას უებარ საშუალებათ მიანიჭებს.

ეს იყო მრავალი შავბნელი წლის განმავლობაში ჩვენი მსასოებელი ოცნება.

და ნუმც გამტყუნდება იმედი ხალხისა, რომლისა თვალი და ყური მისკენაა მიპყრობილი...

გაუმარჯოს საქართველოს დამფუძნებელ კრებას!..

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

## ქართველი მსახიობი

ყველას ეშველა, ქართველ მსახიობს კი ვერა.

უკანასკნელი სამი მეოთხედი საუკუნისა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას, კულტურულ წინსვლას ეროვნულ გათვითცნობიერებას ქართველი მსახიობის სახელი ამკობდა... წამებული ხელოვანი თუ იყო სადმე, ეს ქართველი მსახიობი იყო... და რამდენად იგი შარავანდედით მოსავდა ქართველთა მეობას, იმდენად იგი—ქართველი მსახიობი—მივიწყებული იყო, ცხოვრების გარედ აღიარებული.

და ეს იყო მას ჟამსა შინა, მაშინ, როდესაც არა თუ ჩვენს ხელოვნებას, არამედ ენასა და სიტყვას პატივი აყრილი ჰქონდა.

და ჩვენც ძალაუნებურად ვითმენდით!..

დღეს-კი დღეს, როდესაც ჩვენი მთავრობა ხელოვნებისადმი იმდენ სიყვარულს იჩენს, რომ საკუთარი სახელოვნო ჯილდოთი უცხო ხელოვანთაც აჯილდოვებს, როცა შინაურები არც-კი მოჰგონებიათ, ნუ თუ შესაწყნარებელია დამსახურებული ქურუმნი ხელოვნებისა, წიოწიოდ დადიოდენ?!.

შესაძლოა ჩვენს მსახიობს, როგორც ხელოვანს ბევრი რამ აკლდეს, მაგრამ ეს მისი ბრალი როდია: მთელი ოცი-ოცდაათ ორმოცი წელიწადი იგი ხომ მხოლოდ იმას ცდილობდა, შეძლებისა და გვარად, ჩვენი მიყუჩებული ეროვნულ-მოქალაქეობრივი გრძნობები აემოძრავებინა და განა ეს საკმარისი არ არის, რომ პატივისცემით მოვეპყრათ?!

ეს ხომ იმასა ჰგავს, შობილმა მშობელი არარად ჩააგდოს: ჩვენი დროებისებურა შეხედულება არა გაქვს, სახე დაგნაოჭებია და წელში მოხრილხარო!

ეს ხომ იმასა ჰგავს, მოხუცი, ერთგული მებაღე მისმიერვე სიყრმიდგან მოვლილ-აფურჩქნილი ბაღიდან გასდევნო, რომელსაც ხელები ამ ბაღის ნარ-ეკლების გასუფთავებაში დახეთქია, აქაოდა — ხელები დაკოჟრებული გაქვსო?!

დროა ასეთ უმადურობას საზღვარი დაედვას: ვ. აბაშიძე, ელ. ჩერქეზიშვილი, ნ. დავითაშვილი, ტასო აბაშიძე, შ. დადიანი, ი. ზარდალიშვილი, ელ. ანდრონიკაშვილი და სხ. დღეს უბინაოდ არ უნდა ლევდენ დღეთა თვისთა, ერის საზიანოთ.

იქნება მათ, როგორც ხელოვანთ, წუთი ჰქონდეთ მაგრამ ეს მაინც ნებას არავის აძლევს წარამარა ხელი წამოჰკრას მათს ნაღვაწს და შესაფერი მფარველობა არ გაუწიოს...

სხვამ თუ არა, დაე, ჩვენმა მთავრობამა და ხელოვნების მფარველთ მაინც მიაქციონ ყურადღება..

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანია
მთავრობის თავმჯდომარე, საქართველოს უმაღლესი წარმომადგენელი.



ნიკოლოზ (კარლო) სვიმონის ძე ჩხეიძე
საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარედ არჩეული მარტის 12.

## ცოტა რამ ხელოვნებაზე

ვინც ცოტათი მაინც თვალ-ყურს ადევნებს ისტორიული მეცნიერების მსვლელობას და ვითარებას ევროპის სხვა-და-სხვა კუთხეში, ის უეჭველად შეამჩნევდა იმ ფრიად საგულისხმიერო მოვლენას, რომ ამ უკანასკნელ წლებში ხელოვნების ისტორიის შესწავლა დადგა სულ სხვა ნიადაგზე, დაიბადა მრავალი სხვა და სხვა დიდმნიშვნელოვანი პრობლემა, რომელთა გადაწყვეტას აქვს დიდი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა. კერძოთ ამ უკანასკნელ წლების ათეულებს ახასიათებს ის გარემოება, რომ საშუალო საუკუნეთა, სახელდობრ ძველი ქრისტიანული აღმოსავლეთის კულტურის დ ხელოვნების სხვა და სხვა მნიშვნელოვანი ნაშთების შესწავლას შეუდგნენ ის მეცნიერები, რომელთა კვლევა-ძიების მთავარ საგანს შეადგენდა კლასიკური ანტიკა და რენესანსის ხელოვნება...

დიდი ხანი არ არის მის შემდგომ, რაც ერთგვარი ტრადიციის გავლენის ძალით საშუალო საუკუნების ხელოვნებას არ სთვლიდენ ღირსად მეცნიერული შესწავლისა, მიაჩნდათ რაღაც მეორე ხარისხოვან ხელოვნებად და ხშირად ბარბაროსულ ხელოვნების სახელითაც ნათლავდენ ხოლმე, რადგანაც ეს ხელოვნება წარმოშობილი იყო სულ სხვა ნიადაგზე, სრულებით არ იზიარებდა ანტიურ ნატურალისტურ ძიებას, რადგანაც მისი მსოფლმხედველობა და იდეალები სულ სხვა იყო. ეს იყო განყენებული რელიგიურ-დოგმატიური, ღრმა მისტიური ხელოვნება, რომელიც არავითარ ანგარიშს არ უწევდა კლასიციზმის, კერძოთ ელლინიზმის ნატურალისტურ ღირებულებებს. მაგრამ მიუხედავათ ამისა დაგვიტოვა ისეთი საუცხოვო ნიმუშები თავის ხელოვნებისა რომელთაც მეცნიერებამ საპატიო ადგილი დაუთმო კაცობრიობის ხელოვნებაში... მაგრამ მის შემდგომ მოხდა ძირითადი ცვლილებანი საზოგადოდ ფილოლოგიაში, კერძოთ უკანასკნელის იმ დარგში, რომელზედაც ჩვენ ეხლა საუბარი გვაქვს, ფილოლოგიაში თავი იჩინა რეალურმა მიმართულებამ. გაჩნდა მრავალი ახალი. დისციპლინა, კვლევა-ძიების მეთოდები ძლიერ განვითარდა და გაფაქიზდა, მეცნიერებას გადაეშალა ფართო სამოქმედო ასპარეზი, წამოყენებული იქმნა მრავალი საკითხები, თავი იჩინა სხვა და სხვა პრობლემამ საზოგადო ხასიათისა... ქრისტიანულ აღმოსავლეთის შესწავლაც დადგა ახალ, უფრო მკვიდრ ნიადაგზე ვიდრე წინეთ, მთელი რიგი გამოჩენილ მეცნიერთა შეუდგა მისი კულტურის და ხელოვნების ძეგლების შესწავლას, ამას მოჰყვა მრავალი საყურადღებო ნაშთების გამოქვეყნება სხვა და სხვა სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებში; ეს საქმე თან და თან გამოდის ვიწრო მეცნიერული წრეებიდან და იღებს საზოგადო ხასიათს, აღვიძებს ცნობის-მოყვარეობას საზოგადოების ფართო წრეებში, არსდება სამეცნიერო საზოგადოებანი, როგორც ევროპაში, ისე ჩვენში, და მათი ცდით და ინიციატივით საძირკველი ეყრება სხვა და სხვა მნიშვნელოვანი კულტურული ძეგლების შეკრების საქმეს, არსდება მუზეუმები, ერთი სიტყვით ჩაღდება მეცნიერული მუშაობა. (დასასრული შემდეგ ნომერში)

შალვა ამირანაშვილი

### ა ლ ბ ო მ შ ი

სპეტაკი ხარ, ვით მზის შუქი,
უცოდველი და ფაქიზი,
და ჩემს გულში შენ ჰყვავილობ
ვით ზილილა, ვით ნარგიზი!..
წმინდა, ლაღი, და ფაქიზი!..

ჰა, აქ დავსწვი ჩემი მუზა,
რითმა სულ შენ განაცვალე!..
და ფიქრებით სავსა, — ურვით,
განვიწმინდე, განვიცალე. .
.. გელოდები მოდი მალე..

დ. ჭანჭათელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განახლებული სიცოცხლე

**რ ო მ ა ნ ი**

ქართველ-სომეხთა ომიდან

(გაგრძელება. იხ. თ. და ც. № 3)

**მახეში გაბმული**

—სადაც არა სჯობს-გაცლა სჯობსო, გაიფიქრა ჰაიკანუშამ ოჯახში გაგონილი შოთას სიბრძნე, როდესაც ქართველ მწერლის პირველი შეხვედრის შემდეგ სომეხთა ფარულ კრებას აღარ დაესწრო, მეორე ოთახში გავიდა და მარტოკა კუთხეში მიჯდა: ეგება ფიქრებმა გადამიაროსო, მაგრამ არ იქმნა: ქართველი მწერალის ხატება გონებიდან არა ჰშორდებოდა, მოწიფული ქალის ძარღვებში სისხლმა არაჩვეულებრივად დაიწყო დენა, გულში რაღაც უჩურჩულებდა, ყურში იდუმალი ხმა ჩასჩურჩულებდა: „გინდა დამივიწყო მაგრამ ვერ დამივიწყებ... ჩემი ხარ, ჩემი იქნები, უჩემოდ დადნები!!

—უწინამც დღე დამელიოს,—თითქმის ხმა მაღლა წარმოსთქვა ჰაიკანუშამ,—მამამ რომ გამიგოს, ხომ ასოასო ამკუწავს: მე სომეხი ის ქართველი, საიდან სადაო?!. არ იქნება, არა!..

ასე ბჭობდა ფიქრებში ჩაფლული ქალი, როდესაც ჰოვანესამ ქართველი მწერალი გააცილა, სტუმრები დაამშვიდა და საჯალაბოში შემოიხედა.

—ჰაიკანუშ!.. კრებას რათა სცდები, რას დაღვრემილხარ?

—არ შემიძლიან, თავი მტკივა. -

—ჰა, რა მოხდა?

—არაფერი... ძიუგო ჰაიკანუშამ ნაღვლიანად და მერე კილო შეცვლით, ფრჩხილების კვნეტით, შეეკითხა: მართლა ძია ჰოვანეს, რა სიტყვის პასუხია, და ვინ არის ეგ ქართველი მწერალი?!

—ოჰო! ,,აი მიზეზი, სულო ჩემო, აი მიზეზი!‘‘ მიუგო ჰოვანესამ შექსპირის სიტყვით, ყალბი მსახიობური კილოთი.—ეგ ის მწერალია, რომელმაც ყოველივე გასწირა, რა არის ერთი მრავალ ტანჯულ ერის ტურფა ასულის გული აეჩოჩქოლებინა... ჰა, ასეა თუ არა?! შეეკითხა ღიმილით.

—მაინც, მა ნც.-.

—მერე, რაში გეკითხება?

—ისე... ისე რწმენით ლაპარაკობდა, ისე მტკიცედ, ისე დაჯერებით, რომ...

—რომ შენი გაყინული გულიც-კი გაალხო..

—რომ თავს ბევრი რამ უნდა გადახდენოდე!..

—ყოჩაღ, გამოიცან! ქალები საკვირველი ქმნილებანი ხართ.. ყოველივე ახალი, არ ნახული და მოდური ხელად აღგიტაცებთ..

—მაინც ვინ არის?..

—ერთი უბრალო ვინმის შვილი, მამა-პაპით ნაყმევი გლეხის შთამომავალი...

—დიდი ნასწავლია?

—მაგისი პატარა სკოლა-სოფლის ხალხის ცხოვრება ყოფილა, საშუალო-ქალაქის ქუჩა-ქარხნები. უმაღლესი, აკადემია—ციხე-კატორგა...

—განა ციხეშიაც იჯდა? ნეტა რაზე?

—რაზე იქნებოდა? ერთობის გამო: ცხრაას ხუთს ხალხის აღდგომის ერთი სულის ჩამდგმელთაგანი იყო, კაცი სოციალისტი, მოურიდებელი მებრძოლი ბელადი დაჩაგრული ხალხის,—გლეხების და მუშებისა...

—სოციალისტი?—მაშ სამშობლოს ძლიერ ეპოტინებოდა!..

—ნამდვილი სოციალსტი იმავე დროს პატრიოტიც უნდა იყოს... თუ შენი სამშობლო არ გიყვარს, თუ არა გწამს ის ძუძუ, რომელიც გიწოვნია, ის აკვანი, რომელშიაც დარწეულხარ, ის ხალხი. რომელის შორისაც გისუნთქნია, ის მზე-მთვარე-ვარსკვლავები, რომლებიც თავს დაგნათოდა, როგორ გინდა უცხო ერი, მსოფლიო შეიყვარო?! ეჰ, მახლას, სტუმრებს თავი დავანებე, გავხედავ... დაესწარ, ჩვენი ერის ბედი უნდა გადასწყდეს და შენც, როგორც მამულიშვილმა ქალმა, მონაწილეობა უნდა მიიღო—უთხრა ჰოვანესამ და გავიდა,

ჰოვანესას სიტყვებმა უმეტეს ააფორიაქეს ქალის სული: ცეცხლს ნავთი დაასხეს.. ახლა უფრო მოიხიბლა ქართვლი მწერლის ვინაობით.

—ოჰ, რა მშვენიერია, რა უმაღლესი: შენთვის არაფერი გქონდეს, სხვისთვის ზრუნავდე, არავინ გავალებდეს—ხალხს ემსახურებოდე, გდევნიდენ და შენ მაინც მტკიცედ მისდევდე არჩეულ მიზანს, გზა ეკლებით გქონდეს მოფენილი და სხვისთვის ია-ვარდებს რგავდე...

ასეთის შედარებით ამკობდა ქართველ მწერალს ჰაიკანუშა თავის გუნებაში.

—არა, არა.—წარმოსთქვა მანვე: ხედვე ეტყობა არა ჰგავს ოქროთ გატენილ ტომარას. ეგ სულია უსხეულო, სული ჰალალი სანეტარო მომავლის მოტრფიალე, თვის ერისა დ ხალხის ღირსეული შვილი... ნეტარება მას, ვისაც უამხანაგებს, ვინც ეამხანაგება... დ მაშინ როდესაც ჩვენ მხოლოდ სიყვარულის ღმერთს უნდა ვუკმევდეთ გუნდრუკს, მაშინ. როდესაც სიყვარულს უნდა ვეთაყვანებდეთ, ნუ თუ ერთმანეთს უნდა ვეტაკნეთ? ნუ თუ სიყვარული ძლეული იქმნება?..

თვითბჭობამა და ფიქრმა ჰაიკანუშა დასთენთა, თავი გაუბრუა; ძარღვები მოეშალა, წამოწვა, შუბლზე ცივი ტილო შემოიდვა, მაგრამ ვერკ ასე მოისვენა...

შუა ღამე გადასული იყო, როდესაც მეორე ოთახში მოთათბირე სომხების „საიდუმლო მთავრობის‘‘ კრება გათავდა. ის-ის იყო ტერტერა შემოვიდა და ქალის შეუძლოთ ყოფნა რომ შეიტყო. მაშინვე ჰოვანესას პირით ექიმი მოითხოვა, რომელიც კრებაზე იყო და ტიგრანასთან ერთად შემოვიდა.

—ქალბატონო ასე მოულოდნელად რა დაგემართაა?—კითხა ექიმმა ღიმილით გვერდზე ჩამოჯდ.- აბა, ერთი მაჯა მიჩვენეთ... ჰო, საიმისო არაფერია... მალე გაივლის,—უთხრა ექიმმა, შესაფერი დარიგება მისცა და წამლები გამოუწერა

—ეგ ვერ მოგიგონია კარგი რამე,—გაეხუმრა ტიგრანა ღიმილით: ავად კი არა, კარგად უნდა იყო, კარგად... ჯერ წინ გრძელი გზა გაქვს გასავლელი. ჩვენი

მრავალტანჯული სამშობლო შენისთანების სამსახურს უფრო ითხოვს!—უთხრა და შემდეგ მუნ მყოფთ მიუბრუნდა, ცოტა მოშორებით, საიდუმლო კილოთი: სწორედ ისე მოხდა, როგორც მინდოდა. ჩვენ ოთხთ ახლავე გაბედული ნაბიჯი უნდა გადავდგათ და საქმეთ ვაქციოთ ის, რის შესახებაც წეღან ვილაპარაკეთ. საქართველო თითქმის სტკბება თავისი გამარჯვებით: აქა-იქ აჯანყებანი, შინაური ანარქია და უწესრიგობანი მას სავსებით ვერა სცემს... ჩვენი მფარველი ინგლისის ჯარი ბაქოს მხრით გვიახლოვდება, დენიკინის ლაშქარი შავიზღვის მხრით შემოესევა საქართველოს, ჩვენი საამაყო ანდრანიკა თათრის სოფლებს მუსრავს და დიდძალი ჯარით წინ მოიწევს... ამ წუთს განა გულხელ დაკრება გვმართებს?! ხომ არა! ჰოდა, ჩვენც საომარი მოქმედება ისეთის ხერხით უნდა დავიწყოთ, რომ ერთის მხრით საქართველოს მთავრობამ ჩვენი განზრახვა ვერ შეიტყოს, ძალა არ შეკრიბოს და ჩვენს წინსვლას ხელი არ შეუშალოს, მეორეს მხრივ თვით სოფლები-ხალხი უნდა ავაჯანყოთ, საქართველოს მონაპირე საზღვრის ჯარი გავჟუჟოთ და სწრაფად მოვატანოთ ქალაქ თბილისს... წეღან ამხანაგებთან გარკვევით არ ვსთქვი, მეგობრებო, იცოდეთ ერთის დაკვრით რავდენიმე საქმე უნდა გავაკეთოთ: ძეგვის ხიდის აფეთქება, თბილისის ხიდების დაზიანება და თბილისში ამბოხება ერთსა და იმავე დროს უნდა მოხდეს... ძეგვის ხიდის აფეთქებით ჩვენ ორ უდიდეს საქმეს გავაკეთებთ: პირველი-ამ ხიდის აფეთქებით აქვე მოვიმწყვდევთ გერმანიის ჯარებს, რომელთაც ინგლისი ხელს სტაცებს და მის გულს მოვიგებთ მეორე—იმერეთს ამერეთს მოვწყვეტთ, იქით გასული ჯარი და ხალხი დროით ვერ მოეშველება, აქ დარჩენილ მუჭა ქართველებს უცებ ამოვწყვეტავთ და ჩვენს მიზანს განვახორციელებთ... ამგვარად მთელი ბორჩალოს მაზრა, ნახევარი ქართლ-კახეთი ჩვენს საყვარელ სამშობლო სომხეთის საზღვრებში შემოვა დაასრულა საიდუმლო კილოთი ტიგრანამ.

—აგრეა, აგრე!—მიუგო ტერტერამ-

—შულავერი, დაღეთ-ხაჩინი და ბოლნის-ხაჩინი ჩვენს ნიშანს უნდა ელოდენ: არამცა და არამც არვის წამოგცდეთ, ვითომც ომს ვაწარმოებთ, ვიდრე თბილისში არ შემოვალთ და მცირე მსხვერპლით უდიდესს და საშვილიშვილო საქმეს არ მოვიგებთ...

—მაშ, მეგობრებო თქვენ; როგორც სჩანს; პირდაპირ ომს იწყებთ! იკითხა ჰოვანესამ; ისეთი კილოთი თითქო ტანზე ცივი წყალი გადასხეს და გული გაეყინაო.

—დიაღ; ფაქტიურად საქმით აგრეა!... მიუგო ტიგრანამ.

—მერე ხალხი; ერი!..

—რა ხალხი, ერი?

—რას გეტყვით ხალხი ანუ ხალხს რა პასუხი უნდა გასცეთ; ფეხი რომ გადაგიბრუნდეთ, რა პასუხი უნდა გასცეთ დედებსა და ქმრებს, შვილებსა და მამებს, რომელთა მახლობელნი ომის სისხლში ჩაიხრჩობიან. .

—ეს რას ნიშნავს, ჰოვანეს?—იკითხა გაოცებით ტიგრანამ: განა შენვე არ უმღერი ამ ხალხს და არ მოუწოდებ თავისუფლებისა და სამშობლოს განთავისუფლებისკენ?

—მაგრამ არა ცეცხლით და მახვილით... და მერე ვის წინააღმდეგ?—იმ ერის წინააღმდეგ, ვისგანაც გვიცხოვრია და ვისაც უნდა ვეძმოთ...

—არ მესმის... იქნება შენ უარჰყობ შენს წარსულსა და ხალხის სამსახურს გაურბი...

—პირიქით; შეიწირეთ ჩემი საყვარელი შვილები ხალხის საბედნიეროდ, მიიღეთ ჩემი ქონებაც თუ მაქვს, ჩემი სიცოცხლეც მაგრამ ისეთ საქმეს ნუ ვიზამთ, რაც თვითონ ხალხს დაღუპავს...

—ყოველივე აწონილ-გაზომილია... და ვინც წინ აღგვიდგება-პირველი მტერი სომხეთის მომავლისა ის იქნება... მე სომხეთის სახელით ბრძანებას... ვსცემ.

ჰოვანესას შუბლი დაენაოჭა და ველარა სთქვა-რა ტერტერას გარდა, ყველანი წავიდ-წამოვიდნენ. მცირე ვახშმის შემდეგ ჰოვანესამ ჯალაბით და ტერტერამ მოისვენეს... ჰაიკანუშამაც თვალი დახუჭა, შავ ბნელი ფიქრები და ნეტრი ზმანება-კი მის გახურებულ გონებას არა შორდებოდა. [გაგრძელება შემდ. ნომერში)

## ყრმობის გაზაფხულზე

1 როს გაზაფხულმა ჩამოჰკრა ზარი
და იავარდის გათენდა დილა,—
დედოფლის სახით მოფრინდა დარი,
მიწას სხივებით დაემანდილა —
ვიდოდი ბაღში, სურნელი სთვლემდა,
იადონს ვარდზე მისძინებოდა;
გულს სიყვარულის სხივები სცემდა
და მომავალიც მეღიმებოდა...
ვიდოდი დიდხანს ობლად-ეული,
გულ-ხელ დაკრებით ვიდოდი ნელად;
ფიქრი მაკრთობდა ანაზდეული
ჩემს სიცოცხლის ჟამს უკანასკნელად.

2 ...და ჰე! ბუჩქებში შენც შეგამჩნივე,
თეთრი პერანგი გიმკობდა სხეულს,
ნექტრის ფიალას გული სმად მივე,
ხელი მოვკიდე სამოსს დახეულს;
მსურდა, რომ გულში ცრემლად ჩაგცლოდი,
გადამებანა ყრმობის ტკივილი,
მაგრამ შენს ნაცვლათ დამიხვდა ლოდი
და შესაზარად მოვრთე ჩივილი:
—„ტურფა ფერიავ! რად მომევლინე?
ჭაბუკის ყოფნა მოსწამლე რაზე?..
თვალნი ცრემლით რად დამიგვირგვინე,
თვალნი ცრემლებით რად გადმირაზე?!.

3 დიდხანს ვიტირე კვნესით დაღლილმა,—
მე კვლავ წინ მედგა თეთრი ქვის ლოდი;
თვალს ცრემლი სწვავდა, გულს შენი ხილვა,
თავს კი ვერაფრით ვერა ვშველოდი.

მიქელ დიანელი

ეროვნული ბიბლიოთეკა





**კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი**

(ძველის შარჟიდან ნასესხი)

ხმამან ჩემმან მაინც უწია სამშობლოსა ჩემსა!..

# ქართული ოპერა

ქართულმა ოპერამ უკვე მოქალაქეობრივი უფლება დაიმკვიდრა: ჯერ ორი თვე არცკია და ორმა ოპერამ—დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე'' და ზ. ფალიაშვილის ,,აბესალომ და ეთერმა'', საყოველთაო ყურადღება დაიმსახურეს, მაყურებელ—მსმენელ საზოგადოების სანუკვარად შეიქმნენ.

რომელი მხრითაც უნდა გასინჯოთ ეს ორი ოპერა დაგაკმაყოფილებთ: ხალხური კილო-ჰანგები, შინაარსი მდიდარ-იდეური ჩვენს ხალხურ თქმულება-ზღაპრებზე აგებული, სურათები საუცხოო, ცეკვა ეგრედწოდებული ბალეტი-ნაზი კეთილშობილური ხელოვნება.

ვინ არის მათი შემქნელი?

**დიმიტრი ეგ. არაყიშვილი,** პირველი წარმოდგენილი (1919 წ. თებერ. 5) ქართული ოპერის „თქმულება შოთა რუსთაველზე-"ს ავტორი მოზდოკელი ღარიბი ქართველის შვილია, დაიბ. 1873 წ. თებერვლის 11 ქ. კავკავს. სიღარიბის გამო მშობლებმა შესაფერი განათლება ვერ მიაღებინეს. საქალაქო სკოლაში კურსის დასრულების შემდეგ ოჯახის შესანახად ფართლეულთა სავაჭროში მსახურებდა. შემდეგ ამავე საქმეზე გადავიდა არმავირს. ვაჭრობაში შეისწავლა ოსური ინგუშური ჩერქეზული და სომხური ენები აგრეთვე გაეცნო მათ ზნე-ჩვეულებას და ჩერქეზთა სიმღერებს. აქ მოისმინა პირველად რატილის ქართული გუნდის სიმღერები რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე ეროვნული გრძნობა გაუღვიძა და სამუსიკო მოღვაწეობის გზაზე დააყენა მით უმეტეს რომ სამუსიკო ანბანს იცნობდა კავკავიდანვე იგი მგალობელთა გუნდში მონაწილეობდა ხოლმე. შემდეგ მოხვდა ყუბანის ოლქში სადაც მალოროსიელთა სიმღერები გაიცნო. ვაჭრობიდან გადარჩენილ თავისუფალ დროს თვითგანვითარებას ანდომებდა; ეკატერინოდარში ძმისა და მაჩლობელთა, ნამალევად ჩაეწერა ადგილობრივ სამუსიკო წრის წევრად, მონაწილეობდა გუნდში და კონცერტებში. 1894 მოსკოვის ფილარმონიაში შევიდა საკომპოზიციო თეორიის კლასში. სწავლობდა 7 წ. ამ დროის განმავლობაში დიდი ტანჯვა წვალობა გამოიარა უფულობით თუ უთანაგრძნობლობით მცირე სტიპენდიას აძლევდენ და მის ნიჭს არა სცნობდენ.

1901 წ. კურსის დასრულებისთანავე მოსკოვის სამუსიკო ეთნოგრაფიულ კომისიის მიერ საქართველოში გამოიგზავნა სამეცნიერო მიზნით; იმავე წელს დიდი მოხსენება წარადგინა ქართული მუსიკის შესახებ. სამუსიკო-სამეცნიერო ცოდნის შესავსებად 1916 წ. მოსკოვის საარქეოლოგიო ინსტიტუტში შევიდა სადაც სწავლის დამთავრების შემდეგ მიიღო სწავლულ არქეოლოგის წოდება და ოქროს მედალი. სწავლის დასრულებისათანავე 1901 წლიდან მოყოლებული დაუღალავად შრომობს და საყოველთაო ყურადღება დაიმსახურა მთელს რუსეთში როგორც მეცნიერ-მუსიკოსმა და სამუსიკო კრიტიკოსმა. 1908 წლიდან მოსკოვის სამუსიკო ჟურნალის „მუსიკა და ცხოვრების" ერთი რედაქტორთაგანია; აგრეთვე თანამშრომლობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში. სხვათა შორის მისი დიდი შრომანია: 1) ქართლ-კახური ხალხური მუსიკის განვითარების მოკლე მიმოხილვა, 2] დასავლეთ საქართველოს ხალხური სიმღერები 3] ქართული ხალხური სამუსიკო შემოქმედება 225 სიმღერით 4) ოპერა ,,თქმულება შოთა რუსთაველზე'' და მრ. სხ.

გასული წლიდან მოწვეულ იქმნა ქართულ სამუსიკო სასწავლებლის დირექტორად.

როგორც კომპოზიტორია, მოსკოვის საუკეთესო მუსიკოსთა წრეში აღზრდილი, რამდენად ევროპიულ მუსიკას იცნობს, იმდენად თვის ეროვნულს დასხვადასხვა ხალხებისას მისი აზრით, თუ გვინდა ჩვენი მუსიკა აღორძინდეს და ევროპის ყურადღების ღირსი შეიქმნეს, გაევროპიელების გზას უნდა დაადგეს; თვისი სამუსიკო მოღვაწეობაში იგი ცდილობს საქართველო ევროპას გააცნოს და ევროპიელი ჩვენს მუსიკას აზიაროს.

მადლიერმა სამშობლომ გადაუხადა 15 წლის მოღვაწეობის იუბილე; მთავრობამ დააჯილდოვა ათასი თუმნით და გერბით.

ვუსურვოთ დღეგრძელობა რათა მისი მოღვაწეობისა უფრო მეტი ნაყოფი მიეღოს სამშობლო ხელოვნებას.—

**იოსებ არიმათიელი**



**აპოლონ პავლესძე ურუშაძე**

თბილისის მილიციის უფროსი, სამილიციო საქმის განკარგების თავდადებული მუშაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ჰოვანეს აბელიანი**
სომეხთა სახელგანთქმული მსახიობი, სასცენო მოღვაწეობის 35 წ. შესრულების გამო მარტის 9 თბილისში დღესასწაული გადაუხადეს.



**სოფ. მგალობლიშვილი**
გორის მაზ. ერობამ აირჩია მომრ.-წოდამართ.

*
* *

რწმენის ქნარზე გავაბი
სიყვარულის სიმები,
პოეზიის ვარდნარი
მოვრწყე გრძნობის წვიმებით.
ამღერდა სიმღერა
აღმაფრენი, ღვთიური:
ბროლ-ჰანგების ღელებით
უზენაეს, ციურით.
დავატყვევე ირემი
მთის ორწოხში მყვირალა,
ავატირე სიპი კლდე
ზღვის სივრცისკენ მზირალა.

**გრიშა თუთბერიძე**

*
* *

...და მოქანცულო ჩემო სამშობლო ფერმიხდილო ვით დილის მთვარე; ოდესღაც ტურფა, ცელქი, ცქრიალა, დღეს მიღუშული უხმო, მდუმარე.

მოულოდნელი ღალატი ძმისგან, აუტანელი შფოთვა მღელვარე: მაგრამ სხვა გრძნობა გულში მდებარე მას არ აღელვებს სხვათ მოყვარე.

ქართლოსის მთებო ამეტყველე შენზე მჯდომარე არწივთ სისწრაფე და მგზავრს, დაბნეულს, გულ-შხამიანსა, გზა მიუთითე, სვლა მოუსწრაფე!

ვაი იმ ხმალსა, მარად შერცხვენილის დაუფიქრებლად ძმაზე ნახმარსა, ვაი მინდორ ველს, სისხლით მოქარგულს, და მათ სიცოცხლეს ძმათგან ნაძრახსა!..

**ზაირა**



**ვანო კაკაბაძე**
თელავის სახალხო სცენის მოღვაწე
გარდაიცვალა თებერვლის 27.

# თეთრი გიორგი

თეთრო გიორგი! მზე შუბუკო, თეთრ რაშიანო,
ვეშაპის მჭრელო ცეცხლისა ხმლით, მძლე დროშიანო.
გაჭექუსლე ველი, გზას გინათებს შვიდა მნათობი
შენ მეოცნერის საქართველო, შენდამი მტრფობი.
დაჰკარ! დალეწე მტერთა ურდო შემოსეული;
სამშობლო გიხმობს... ანატარე, არ ჰქონ უღლი.
წინ, ბუკის ცემით! — თან მოგდევენ მამულიშვილნი,
ოქროს აკვანში ქართლის დედის ნანით აღზრდილნი
და, შეიდებოთ სისხლით ქუსლი შენი რაშისა,
ორგულს გველ ვეშაპს დაანთე თავს ცეცხლი შიშისა.
შენდა იწვნიან გვირგვინები, ჟღერენ არფანი,
და გიმღერიან გამარჯვებას ქალნი ტურფანი.
თეთრო რაინდო ბრძოლის ველზე, წინხმლის პრიალით
გადადი მტერზე წითლად მღიმარ დროშის ფრიალით!

ს. ერთაწმინდელი



**გვარდიელთა შტაბი** [საქართველო-სომხეთის ომის დროს]: **გენ.-მაიორი ს. გ. ახმეტელაშვილი** — შუაში-მაღლა გვარდ. ხელმძღვანელი; **გენერ. ჯიჯიხია** — მარჯვნივ გვარდიელთა შტაბის უფროსი; **იოსებ სვ. [ოსა] ჩერქეზიშვილი** — მარცხნივ ადიუტანტი; გარე-კახეთში ცნობილი სახ.-სამ. მუშაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნიკოლოზ ადამის-ძე კაციაშვილი

## ხალხის რჩეულთაგანი

ნ. კაციაშვილი ს. გომის (გორის მაზ.) მცხოვრებ მდიდარი გლეხის შვილი იყო დაახ. 40 წ. სწავლა დაამთავრა სათ.-აზ. 4-კლ. სასწავლებელში, პირველ მოწ. ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო სწავლა ვერ განაგრძო, რუსულ - ქართულ პოლიტიკურ წიგნების კითხვასდაეწაფა და ცხოვრებას მალე აუღო ალღო; იგრძნო მისი ძირითადი მიხვეულ-მოხვეული უკუღმართობანი, უარჰყო თავად-აზნ ხორხორი, ის ფუფუნება რომელიც მის მშობლების ოჯახში ტრიალებდა და დაჩაგრულ ადამიანთადმი საშველად აირჩია ნარ-ეკლიანი გზა. ასეთი მისი მიმართულება შეუმჩნეველი არ დარჩა და 1907 წ. მეორე სათათბიროს წევრად იქმნა გაგზავნილი.

კოლა იმდენად მაღალი, სპეტაკი პიროვნება იყო, რომელიმე დემოკრატს რომ დაუახლოვდებოდა და ერთხელაც არის შეამჩნევდა იგი ფაქაზათ არ ასრულებდა დემოკრატიისადმი დასახულ მიზანს, სამუდამოთ ჩამოშორდებოდა ხოლმე რის გამოც ბევრი მტერი გაუჩნდა.

კოლა ასეთი მტკიცე იდეური მუშაკი იყო და 20 წ. განმავლობაში სოციალისტური დროშა ძირს არ დაუხრია.ს. ახალქალაქის რაიონმა მასში დაკარგა საუკეთესო მუშა. მშრომელთ წინამძღოლი მებაირახტრე, მამათმთავარი.

ვაგლახ ჩვენ ამხანაგო კოლავ, ჩვენ შორის თუ არ აღმოჩნდება იმ ლამპარ-ჩირაღდნის ჩამომრთმევი, რომელიც მარად ხელთ გეპყრა, შეუპოვარ თავგანწირულებით მიჰქროდი, მიეშურებოდი მომავალ საერთაშორისო ბედნიერების დასამკვიდრებლად და არ დასდევდი საით და რომელ მხარეს, რომელი შხამიანი მახვილი განგიგმირავდა მკერდს.

მშვიდობით კეთილო ადამიანო!

მშვიდობით ბრძოლაში გამოწრთვილო ბრძოლის შვილო.

**ანეტა კაპანაძისა**



ინაშვილი ახალგაზრდა საოპერო მსახიობი—**დემონი.**

## ტრიოლეტები საქართველოში—კოკი ებრალიძისა

სამგლოვიარო ბარათს დავსწერ ფერწასულ დილით..
ვატირებ ლურჯად გადახვეწილ ღამის ბნელ ორთქლებს,
ვინ შევიბრალოთ, მარქვით, დებო თეთრი სიკვდილით?!.
სამგლოვიარო ბარათს დავსწერ ფერწასულ დილით..
და თარის კვნესით ხალხს გადავცემ მაისის ფოთლებს,
დღეს აქ რუსთველი ჯვარს დაიწერს ლექსთა ქორწილით.
სამგლოვიარო ბარათს დავსწერ ფერწასულ დილით,
ვატირებ ლურჯად გადახვეწილ ღამის ბნელ ორთქლებს.

ჩემი ქვეყანა აყვავილდა მზისფერ სხივებით;
ვერ გამაცილებს შავი ლანდი დასატირებლად;
მგოსანს მუზები მახვევიან ფერად იებით,—
ჩემი ქვეყანა აყვავილდა მზისფერ სხივებით..
მოწყალების და თავს მადგია ხუცეშის მცემლად,
საქართველოში ვინ დამცინებს შურის ძიებით?
ჩემი ქვეყანა აყვავილდა მზისფერ სხივებით,—
ვერ გამაცილებს შავი ლანდი დასატირებლად.

დე მოვკვდე ახლა, არას ვჩივი; ასრულდა ჩემი
ფას-დაუდები კვლევა ძმების მიზანი წმინდა;
მოვვლე ზღვის სივრცე და ნაპირზე მისცურდა გემი, .
დე მოვკვდე ახლა, არას ვჩივი, ასრულდა ჩემი
და გამყიდველმაც ბილწი გული ამოიწმინდა,
თითზე აითვლით რამდენია ქრისტეს გამცემი,—
დე მოვკვდე ახლა, არას ვჩივი, ასრულდა ჩემი
ფას-დაუდები კვლევა-ძმების მიზანი წმინდა!..



**გენერალი კვინიტაძე**

საქართველო - სომხეთის ომის დროს რეგულიარ ჯარის შტაბის უფროსი, ხოლო ახალციხეში მომქმედ ლაშქრის მთავარსარდალი— ,,ქართველი გენერალი'' ცნობილი სამხედრო მოღვაწე.



**ქართველი ლეგიონერები ახალციხესთან** ს. უდელის აღების დროს: **შ. ფრუიძე**—ოფიცერი სამგზის დაჭრილი. მიიღო კაპიტნობა; **ნ. ნემსაძე**—მოწყალების და, გახურებულ სროლა-ცეცხლიდან გამოჰ. დაჭრ.-მკვდარნი. ორივ დაჯილ. ლეგიონის ორდენით; **კ. ინასარიძე**—ოფიც. დაჭრილი 4 საათი იბრძოდა.

# სამაგალითო მშობლები

[ელისაბედ და საბა გოგვაძის ხსოვნას]

„ვაი ძველის დამკარგავს" — იტყვიან. ცხადია ყველაფერი ძველი სამაგალითო და კარგი არ იყო, მაგრამ ბევრი ძველი რომ ახალს სჯობნიდა, ესეც უდავოა.

ამ ჟამად გარდამავალ ხანაში ვიმყოფებით, აღარც ძველისა ვართ და არც ახლის, ძველს ყველაფერს ვგმობთ, მაგრამ სანატრი ახალი არაფერი შექმნილა. ყველაზე მეტად ამ ტკივილს სოფელი განიცდის, სოფლისთვის ძველში ყველაფერმა დაჰკარგა ფასი, ახალი კი სულ არაფერია, გარდა დაუსრულებელი კრებებისა. სოფელს სულისა და გრძნობის გამაშენებელ-დამტკბობი არაფერი არ აქვს. წაერთვა ძველი ახალი კი არაფერი მიეცა, მართებული კი იქნებოდა ჯერ უკეთესი მიეგეცა და მერე მეტზე თვით სოფელი იტყოდა უარს...

სადღაა ახლა საბა გოგვაძის ოჯახის მსგავსი საბას მე სიყრმიდან ვიცნობდი, მთელი სოფლის ჭირისა და ლხინის მოზიარე იყო, ორივე დროს პირველი კაცი, ტირილს მისი ზარის ბანი ამშვენებდა, ქორწილს მისი დარბაისლობა და ლხინი. საგარეოთ სუფთად ჩაცმულ-დახურული საბა გლეხი კი არა აზნაური გეგონებოდათ, მაგრამ მისი მარჯვენა არ ჰგავდა აზნაურის მარჯვენას, შრომისაგან დაკოჟრებული იყო. ორშაბათიდან შაბათამდე გამუდმებით მუშაობდა, შაბათს „უქმე ძალის" დარეკა სიამოვნებას გვრიდა, პარჯვარს იწერდა, მუშაობაზე აღრიან ხელს იღებდა და შინ მოემურებოდა, აქ ერთგული მეუღლე (ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით) ელისაბედი თავის საბანს წყალს და სუფთა საცვალს დაახვედრებდა... მეორე დღეს საგარეოთ მორთული ცოლ-ქმარი შვილებითურთ წირვაზე წავიდოდნენ. საბა მგალობლებთან დადგებოდა და მთელ წირვას მისი ბანი ალამაზებდა, მსმენელებს ხიბლავდა და მეორე მის სმენად მოუხმობდა. ოჯახში სრული ჰარმონია, უმცროს უფროსობა, ერთი მეორის მორჩილება და რიდი, შვილების შრომა აღზრდაში.

მარტო ხელა იყო ელისაბედი, მას არ ჰქონდა დაქირავებული „მობარებული" (მსახური გოგო), მაგრამ თავის მეუღლითობით მრავალ რიცხოვან ოჯახს მაინც უძღვებოდა, ჯანმრთელობისათვის ღმერთის მადლობას სწირავდა.

ბოსტანი, აბრეშუმი, შინაური ფრინველი-პირუტყვის მოვლა, შვილების აღზრდა, სადილ-ვახშამის კეთება, სტუმრის მიღება ყველა ერთად ერთის მისი საქმე იყო, მაგრამ გაუკეთებელი არაფერი არ რჩებოდა. გარეთ თუ ქმარი მუშაობდა, შინ ცოლი ტრიალებდა.

საწადელსაც მიაღწიეს: ოჯახი ბარაქით აავსეს და ხუთი „ქორორა" ვაჟი სამშობლოს დაუტოვეს: უფროსი-ვაჟი ალექსანდრე თოხით მიწას ებრძვის და ოჯახს ამაგრებს, ოთხი მისი მომდევნო: ვოლოდია, ალფესი, ნოე და მელენტი კი რევოლიუციასა და სამშობლოს ერთგული დარაჯია. მათ სიწმინდეს თავიანთი მკერდით იცავენ. და როცა ესენი ბრძოლის ველზე იყვნენ, დედა ელისაბედი თავის ზურგით წისქვილზე საფქვავს ეზიდებოდა და მით უფროს ვაჟს შრომას უადვილებდა. სხვა დედები თავის შვილებს მალავდნენ „დეზერტირებდნენ," ელისაბედი, პირიქით, შვილებს აქეზებდა! მათი ჯვრიანი გულმკერდით ამაყობდა... შვილების სიყვარულმა და ცორე ავადყოფობამ „გამოიტყუა" სოფლიდან ელისაბედი და აქ, თბილისში, შვილების გულის საგლოვით სახადით განდა აჯათ აქ განუტევა თავისი პატიოსანი სული. აქ დაუკრიფა გულს მშრომელი მარჯვენა.

კურთხეულ იყოს ასეთი მშობლების სახელი. მეოჯახე-მშრომელი დედა ელისაბედა სამშობლოსთვის უფრო მეტათ სასარგებლოა, ვიდრე „კურსისტკა მსმენელები".

აპ. წულაძე



დოლიძე

ახალგაზდა მუსიკოსი. დასწერა ქართული ოპერ. „კოტე და კატო." რომლის დადგმაც განზრახულია ამ მოკლე ხანში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩვენნები

კომედია 3 მოქ.

პირველი პიესა, რომელსაც წილად ხვდა რუსულად არ მომენათლა, რადგან ცენზურა გაუქმდა.
ვ. შ.

ვ. შალიკაშვილი

მ ო მ ქ მ ე დ ნ ი

**რიმსიმე**
**ტასო**, ამისი ქალი
**გიგო**, რიმსიმეს ვაჟი
**სოსო**, სტუდენტი
**რეზო**, პოეტი
**ანეტა**, ახალგაზდა ქალი
**იაგორა**, მაჰანკალი
**დიანოსა**, მსახური

## მოქმედება პირველი

ოთახი. საშუალო სიმდიდრე მეშჩანურის გემოვნებით.

**ტასო**, მერე **რიმსიმე**.

ტასო (ოთახს ალაგებს)

რიმს. (შემოდის) კარგია, გენაცვალოს დედა, არ დაიღალო, ფერი დაგეკარგება... წადი ჩაიცვი... მოირთე და მოიკაზმე რომ შენს საქმროს თვალები ზედ დარჩეს...

ტასო (საქმეს თავს ანებებს, დედას მოეხვევა და ჩუმად ტირის) დედა... ჩემო დედა...

რიმს. რა იყო, დედა შემოგევლოს?.. რა გატირებ? ტირილი კი არა, უნდა იცინო, — დღეს ინიშნები!.. მერე ვიზე?!

ტასო ჰო და მეც მაგას ვჩივი... თან წამიყვანს და შენი მოშორება მაწუხებს...

რიმ. არსად გაგიშვებ, გენაცვალე! ორივენი ჩემთან იცხოვრებთ... მე შენ გითხრა — სახლი არა გვაქვს?!

ტასო როგორ თუ შენთან?.. რუსეთში აღარ უნდა წავიდეს კურსებზე?

რიმ. მერე რა? წავიდეს, — შენ ჩემთან დარჩი!

ტასო როგორ თუ ის წავიდეს და მე აქ დავრჩე?

რიმს ქა, რა გიკვირს? ყველა ასე არა შვრება? ქმარი მიდის, სწავლობს, ცოლი შინა ზის და უცდის...

ტასო დიახ, სწორედ მაგ ქკუაზედა ვარ... მაშ რაღათ მათხოვებ თუ შენ აღარ მოგშორდები?

რიმს. გაზაფხულობით ჩამოვა!

ტასო მეტი დარდი არა მაქვს!., მარტო გავუშვა, რომ იქ ვინმე კურსისტკას, ან კუპჩიხას გადაეკიდოს!..

რიმს. არა, ის ისეთი ყმაწვილი არ არის, ენაცვალოს იმას სიდედრი!.. იმას მარტო შენ ეყვარები!

ტასო ოი, გაწყდეს ეხლანდელი ყმაწვილების სახელი!.. ჯვარის დაწერამდი ყველა ეგრე ლაპარაკობს მერე-კი!..

რიმს. მოშორებით რომ იქნება, უფრო ძლიერ შეუყვარდები.

ტასო არ მინდა, არა! საცა ჩემი ქმარი იქნება, მეც იქ უნდა ვიყო!

რიმს. მერე ორივეს 50 მ. თვეში რომ არ გეყოთ?

ტასო ათი თუმანი გამოგზავნე რა?

რიმს. ათი რათა, ქა!.. იქნებ ასი თუმანი ინებო!.. ვაი თუ გაწყინოს?!.

ტასო შენ რა გინდა, — ჩემს ქონებას მიგზავნი, შენსას ხომ არა?!

რიმს. მე ხუთი დავპირდი!

ტასო მე რა ვქნა, რომ დაპირდი?

რიმს. ქა, სად შეიძლია ღარიბ დედაკაცს თვეში ათი თუმანი გაძლიოთ?!

ტასო მაშ მოეცი ჩემი ათასი თუმანი მამამ რომ დამიტოვა..., ეს სახლები, დუქნები ნახევარი ხომ ჩემი.?

რიმს. მერე ვინ გართმევს, ქა?

ტასო ჰო და თუ ჩემია, ეხლა მინდა მზითევი, ვთხოვდები ანდერძში ასე სწერია: როცა გათხოვდეს — მიეცესო...

რიმს. არა, ყოველ თვე რომ ათ-ათი თუმანი გაძლიოთ, თანაც სწავლის ფული ვიხადო; ხუთი წლის განმავლობაში რამდენ თანხას შეადგენს?;. მერე რა ჭირი უნდა სჭამოთ შენა და შენმა ქმარმა? შვილებიც გაგიჩნდებათ,

ტასო ჭირიც შენა სჭამე დახოლვერაც!.. არ მინდა! არ ვთხოვდები!.. აღარ მივყვები სტუდენტს..

რიმს. სიკვდილსაც გაჰყოლიხარ!.. თავი ქვას ახალე!..

ტასო თავი ქვას ახალე და მუცელი სამართებელს!., შენ კი გინდა მოვკვდე... ჩემი ქონება დაგრჩება და შენ თითონ მისთხოვდები იმ სტუდენტს.

რიმს. ვუი მოგალპეს ეგ ენა, შვილო, მოგალპეს!.. ჯანიც გაგვარდნია, ნუ გაჰყვები!.. რა შენი საქმეა სტუდენტი, განათლებული კაცი! — შენ პრიკაზჩიკის ცოლი უნდა იყო, ან ვინმე მეხაშისა... არა შეჯდა მწყერი ხესაო.

ტასო დედა, ნახე მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო..

რიმს ენა ჩაიწყვიტე, თორემ სულ თმებიდან დაგცლი!..

ტასო არა, არ დავჩუმდები! ქვეყანას გავაგებინებ, რომ შენ ჩემს ქონებას სჭამ... ვითომ შენც აპეკუნი ხარ რაღა.

რიმ. მიწამ ჭამოს შენა!.. შე გველის წიწილავ!

ტასო კვალი დედაზე ხტისო!

რიმს. ადე, გაეთრიე აქედან!

ტასო ქა, ჩემი სახლიდან მაგდებ? არა რა უფლებით?!. წადი შენი მეშვიდედი და შენ თითონ წადი!

რიმს. (სიბრაზისაგან ცახცახებს) ოი, შხამათ ჩემი ამაგი, შხამათ!..

ტასო შხამათ ბრაზათ მამი ჩემის ქონება!.

რიმს. (გაბრაზებული მიიწევს)

ტასო არ მოეკარო! (ზარი)

რიმს. ქა მგონი კიდეც მოვიდნენ! (დაუყვავებით) ადე, გენაცვალოს დედა, ჩაიცვი... კარგია, ეხლა შევრიგდეთ!

ტასო არა, არ ავდგები!

რიმს. სირცხვილია ასე რომ დახვდე საქმროს რას იტყვის? განათლებული კაცია.

ტასო. არ მინდა.

რიმს. დახე, რომ გაჯავრდა, სახეირანაირად გამოგეცვალოს! წადი, პირზე წყალი შეისხი, პუდრი და პამადა წაიცხე

ტასო არ მინდა, არა! (ზარი)

რიმს. (კარებს მივარდება) დიანოსა! დიანოსა, შესასიკვდილე, არ გესმის, ბიჭო? (შემოდის დიანოსა)

რიმს. შე სასიკვდილევ, არ გესმის ზარი ჩამოგლიჯეს!

დიან. მეძინა!

რიმს. საუკუნოდ დაიძინე, შენა აჰა!

დიან. ვაა, რათა? (ზარი)

რიმს. წადი, ჩქარა გაუღე! (ბიჭი გადის) ადე, გენაცვალოს დედა!.. ნუ მომჭერი თავი!

ტასო (სიბრაზისგან ტუჩებს იკვნეტს) არ მინდა!

რიმს. ღმერთო, ეს რა ჭირია?!. გოგო ადე, აქედან მაინც გადინუ ხარ იუბკის ამარა!

ტასო არ მინდა! არ წავალ!. (დიანოს შემოდის)

დიან. მოვიდნენ!.. (მეორე ოთახში შედის)

რიმს. (კარებს მივარდება, რომელშიაც იაგორა გამოჩნდება) ვუიმე, იაგორ მიტროფონიჩ! შენი ჭირიმე, ჯერ აქ ნუ შემოიყვან... (შემოდის იაგორა)

იაგ. (შემოდის) რა ტომ, რა ამბავია?

რიმს. ამ სასიკვდილეს ვერაფერი შევასმენინე... არ უნდა ტანთ ჩაიცვას.

იაგ. კაკ მოჟნა?! სობსტვენი ლოვიორაა, კიდეც ჩაიცვამ და კიდეც მორთვება!

რიმს. სიძე სადღაა?

იაგ. პარიკმახერთან შევიდა... უნდა შევლამაზდეო.. ეხლავე მოვა.

რიმს. ისედაც ლამაზი ბიჭია, ვენაცვალე იმას.

იაგ. მერე ბონბონიერკა უნდა ვიყიდოთ.

რიმს. ეს რაღაა, გენაცვალე?

იაგ. კამფეტი, კამფეტი.. ასე უნდათ...
განათლებული კაცია, კაკ მოჟნა იცის!..

რიმს. ადე, შვილო, ბედი კარზე მოგვადგა... ნუ ჯიუტობ!..

იაგ. კაკ მოჟნა?.. უნდა მოემზადოს, აბა?

ტასო თუ მომცემთ იმის პირობს-თან გამაყოლებთ—ჩავიცვამ... თუ არა და არ მინდა, არა ვიხოვდები!

იაგ. რაფეროო?

რიმს. რუსეთში რო წავასოსო, თან გამაყოლეო.. ამაზე მამტვრევს თავპირს.

იაგ. იმე, კაკ მოჟნა, აბა!. სობსტვენო ლოვორია, კიდეც გაყვება და კიდეც გამოყვება... აბა, რავა იქნება!

ტასო დიახ გავყვე და ორთავე შიმშილით მოვკვდეთ.. ხუთი თუმანი რას გვეყოფა?!

რიმ კარგი ათი იყოს, ჯანაბას. ადე, ჩაიცვი!

ტასო (დგება) ჰო და ეგრე! (შედის ოთახში)

რიმს. რა ვქნა, რა ვუყო? ისეთი უხიაკი ხასიათისაა. ვინ იცის რა ბოლო ელის? ეგრე აზიზათ გაზრდილი ხუთ თუმნად იცხოვრებენ?

იაგ. შენ კიდევ მეტი მიეცი!

რიმ, იაგორ მიტროფონიჩ, მერე ელირება კი ამათ?

იაგ. კაკ მოჟნა რას ლაპარაკობ?!. კაცი სტუდენტია,—ხუთი წლის შემდეგ კაცი გახდება... რა ვუყოთ, რომ ღარიბია?! სობსტვენო ლოვორია, მდიდარი რომ იყოს დასწავლის საშუალობა ჰქონდეს-არც შენს ქალს შეირთავს... ძლივს დავითანხმე... სანამ არ ავუწერე მთელი მჭითევი ზედაც არ შემომხედა.

რიმს. ახლა ძალიანაც ნუ გაიბერება და!.. რამდენი მშიერი სტუდენტი,—სიხარულით ხელშიაც გამომგლეჯენ.. ჩემს ქალს რა აქ დასწუნი? თვალ ტანად. ენაცვალოს დედა; უბნის თვალია... ორი კლასი ჩასტნი ღემნაზია გამითავებია; სიტყვა იცის და პასუხი. ქრთამიც დიდი აქვს... ვისი რა დასაწუნია?.

იაგ. დასაწუნი კი არ არის, მარა სტუდენტია, სტუდენტი!

რიმ. ახლა რა ვქნათ, რომ სტუდენტია?! ჩემი შვილიც გილდის კუპჩის ქალია

იაგ. იცი, ახლა რა ღირს სტუდენტი?!. კაი იცი ათასი მანათი ღირს. აბა!.. შენ კი, თითქმის მუქთად იშოვე. ამ ხუთ წელიწადს უნდა დაეხმარო და სწავლა დამთავრებინო.. მეტი რა? თუ რამეს მისცემ,— შენს ქალს მისცემ.

რიმ მა რა?!. იმას ხომ არ ჩავუყრი ხელში?!.

იაგ, ძალიან პატიოსანი ბიჭია.. ასე მითხრა: სანამ სწავლას დავამთავრებდე, დამეხმარონ მერე ჩემს ცოლს მე თითონ შევინახავო... იმათი არაფერი მინდაო...

რიმ. ქა, ის რომ თითო კურსზე ხუთ ხუთი წელიწადი იჯდეს სად წავა?

დას. შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა დააშავა?

დილა იყო. სოფელ გორის ხევში ერთს განაპირა მიყრუებულ ფერდობზე, ძველს, ნახევრად დანგრეულ ქვიტკირის სახლთან ხალხი შეკრებილიყო. დროგამოშვებით მოისმოდა ქალისა და პატარა ბავშვების გულსაკლავი ტირილი.

—კაცი მოუკლავთ,—ვიღამაც დაიძახა: საწყალი აზნაური მიტო ქიმრტაშვილი.

მართლაც ზედ სათონის კართან მიწაზე ეგდო ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე ვაჟკაცი. ტანზე რუსული მაზარა ეცვა, შიშველა ფეხებზე ჩუსტები ჰქონდა წამოცმული, შრომისგან დაკოჟრებული ხელი გულზე მიედო სწორედ იმ ალაგს, სადაც სასიკვდილო ჭრილობა ჰქონდა. გულმკერდზე სისხლი დაგუბებოდა.

—კაცო, რა დააშავა საცოდავმა, ვინ მოჰკლა, რად მოჰკლეს? კითხულობდნენ აქეთ-იქიდან.

—გათენებისას თურმე ვიღაცსაც კარი დაუკაკუნებია,—ჩაერია ლაპარაკში შუა ხნის დედაკაცი: მიტო, გააღე კარი, გამო პატარა ხანი, საჩქარო საქმე მაქვს შენთანაო. ბევრი ეხვეწა ცოლი, ნუ გახვალ, მიტო, ნუ გაუღებ კარს, ვაი თუ სამტროდ მოსულა ვინმეო, მაგრამ საცოდავს თავისი არ დაუშლია და გარეთ გამოსულა. უცნობს დაუნახავს თუ არა მიტო, უცბათ გულში ხანჯალი ჩაუცია. საბრალო მიტო წაბარბაცებულა და სათონის კარზე უსულოდ დაცემულა. რაკი სახლში შესვლა დააგვიანა, მიტოს ცოლი, ქეთო, სანათურით ეზოში გამოსულა და სათონის კართან კი მოუკრავს თვალი ქმრის უსულო გვამისათვის. გულშემზარავმა წივილ-კივილმა მეზობლები გამოგვაღვიძა. ამათი საცოდაობით ვ წვით ყველანი, მეტადრე ობლები გვეცოდება

—რად მოჰკლეს იმ ულმერთოებმა, დაიწყო ერთმა ბერიკაცმა. რა დანაშაული მიუძღოდა, რაზე დაიდეს ამისი წვრილიშვილის ცოდო! რომელი დიდი მემამულე იყო, ერთი ღარიბ-ღატაკი აზნაურიშვილი იყო. გლეხ კაცზე გაჭირვებული ოჯახი ჰქონდა. ამისი ავლა-დიდება ეს დანგრეული ქოხი და რაღაც ორი მტკაველი სახნავი მიწა იყო. ამას წინათ დღიურ მუშად მყავდა, ვენახს ვაბარვინებდი. მთხოვა: ფული არ მინდა, მხოლოდ სიმინდის ფქვილი მომეციო, ცოლშვილი სიმშილით მეხოცებაო. ერთმა ეთრობის ბიჭმა კიდეც დაცინა: ზოგიერთი კაცი (იტყვი) აზნაური ვარო, კუჭი კი შიმშილით უხმებაო. მართლაც და ჩვენებიანთ ზაქარა თუ გლეხკაცია, იმისი ძველი გათქმული ოჯახი და დოვლათი ბევრ თავადიშვილს კი არ შეშურდება აი!

—მერე რა გულკეთილი, ჭკვიანი და ხალხისთვის სასარგებლო კაცი იყო, დაუმატა ერთმა ახალგაზრდამ. ის იმ თავითვე მუდამ ჩვენში, ერთობის ხალხში ტრიალებდა, ბევრი ტანჯვა-წვალება გამოუვლია, მაგრამ ჩვენთვის კი არ უღალატნია. მიტო ჩვენთან ერთად თავგანწირულად იბრძოდა სამშობლოსა და თავისუფლების დასაცავად. სომეხ-ქართველთა ომში დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა. დახე ბედს. იქ გადარჩა, აქ კი მოკვდა ასე უსამართლოთ. ერთობამ გაიმარჯვა, ქვეყანა მთლად განახლდა, გამოიცვალა; ჩვენი გლეხკაცობა წელში გასწორდა, მოღონიერდა, საწყალმა ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა, ამაში ხომ მიტოსაც უდევს წილი. და ნუ თუ მხოლოდ იმიტომ გამოასალმეს წუთისოფელსა და ღარიბ ცოლშვილს, რომ კეთილშობილი კაცის—აზნაურის გვარს ატარებდა?! წარმოსთქვა ვიღაცამ

—ვაი შენს უპატრონოდ დარჩენილ წვრილშვილს!—წაიდუდუნა თვალცრემლიანმა მოხუცმა დედაკაცმა და ხალხში შეერია.

ასეთი საზარელი და უსამართლო მკვლელობით აღშფოთებული ხალხი ნელ-ნელა დაიშალა,

მარიამ წინამძღვრიშვილისა

## ზაქარია გიორგის ძე ტატიშვილი

[გარდაცვალებიდან ნახ. წლის შესრ. გამო]



გასულ წელს ენკენისთვის 27, ს. წრომში შავბნელმა ძალებმა მოკლეს ადგილობრივი მკვიდრი ახალგაზრდა ნასწავლი მეურნე, შაქრო ტატიშვილი, რომელიც კერძოდ თვისი სოფლისთვის და საზოგადოდ ჩვენის ქვეყნის მეურნეობის წინსვლისათვის დიდს იმედს იძლეოდა, იყო ხალხის მოყვარული, გატაცებული საქმის მოტრფიალე და სამშობლო ქვეყნის დაწინაურების მოსურნე: თუ გვინდა ჩვენი ხალხი ნივთიერად გაღონიერდეს, ჩვენი ქვეყანა დაწინაურდეს მისი მეურნეობა უნდა ავაყვავოთო. სწავლა მიღებული ჰქონდა წინამძღვარიანთ კარის სკოლაში, თვითგანვითარებული იყო და იალტასაც კი ემზადებოდა. 19 წ. იყო და ასეთ აგალგაზდას მხოლოდ იმიტომ მოუსპეს სიცოცხლე, რომ—თუ აქ დატრიალდა თავისი ცოდნით, შეგვექიშპება, მისი მამული აღარ დაგვრჩებაო,—მისმა ვერაგულად სიკვდილმა დიდი მწუხარებამ გამოიწვია და, როგორც „ერთობა", ისევე „საქართველომ" გულის ტკენით აღნიშნეს. საჭიროა ასეთ ბოროტმოქმედებათა წინაალმდეგ სასტიკი ზომები იქმნეს მიღებული, როგორც მთავრობისგან, ისევე თვით ხალხისგან. ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**პეტრე ივ. ლალიძე**

ს. ხაშმისა და გარე-კახეთის გვარდიელთა ხელმძღვანელი ხაშმელი გლეხი, მარტის 6 გმირულად დაიღუპა ახალციხის ფრონტზე ბრძოლის დროს. მთელ გარე-კახეთში პირველად ს. ხაშმზე გვარდიის შედგენის ერთი მესვეურთაგანი ის იყო და მიუხედავად იმისა რო თითქმის 45 წ. იყო სამსახურში ვალმოხდილი, წვრილი ცოლშვილის პატრონი, ჯერ კიდევ 1905 წლიდან გამანთავისუფლებელ მოძრაობაში დიდ მონაწილეობას იღებდა, ხოლო რევოლიუციის მოხდენისთანვე გვარდიას ჩაუდგა სათავეში და არც ერთი ფრონტი არ გამოჩენილა რომ პეტრეც თვისი გვარდიით იქ არ გაჩენილიყოს: დუშეთს, ბორჩალოს, ახალციხეს და სხ. იმისმა დაკარგვამ საერთო მწუხარება გამოიწვია გარე-კახეთში. დაკრძალული იქმნა დიდის პატივისცემით, მრავალ ხალხის თანადასწრებით ს. ხაშმზე. უმწეოდ დარჩა მეუღლე და 5 წვრილშვილი [ქალები].

---

## სიტყვა

წარმოთქმული სანდრო მაისურაძის ანდერძზე, მისს ბინაზე ქ. თბილისში, 24 დეკემბერს 1918 წელს.

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

საყვარელნო!

ამ ოთხი წლის განმავლობაში ქართველმა ერმა საერთაშორისო სამსხვერპლოზე ზვარაკად შესწირა თვისი ახალთაობის საუკეთესო შვილნი, ჩვენი ქვეყნის იმედი, ოჯახის და ცოლ-შვილის მარჩენალი ვაშკაცნი. რუსეთთან ერთად ჩვენი ერიც ჩაუბეს ამ საშინელ მსოფლიო ომიანობას. არ არის ჩვენში ოჯახი, რომელიც არ იყოს მგლოვიარე და დათალხული ამ ომიანობისაგან.

ამას ზედ მოჰყვა ჩვენზე გაბატონებულ რუსეთის დამსხვრევა, დაშლა, დანაწილება და ბევრგვარი სოციალური ცვლილება-გადატრიალება. საამისო დიად ბრძოლაშიაც მხურვალე თანამოზიარე იქმნა ჩვენი ქართველი ერი ხოლო ამ საქვეყნო ორომტრიალში მან გაიკაფა გზა დამოუკიდებლობისა და სრულ თავისუფლებისაკენ. აღსდგა ახალი საქართველო. შეიკრიბა მან თვის გარშემო მთელი ერის ცოცხალი, მომქმედი ძალა, ეგრედ წოდებული დემოკრატია. ახალი საქართველო მიეყრდნო ამ დემოკრატიის მკერდს და აიღო ხელში კვერთხი თვითხემწიფობისა.

თან ჩვენი ერი გამოვიდა მეზობელ ერთადმი და ურთიერშორის ძმობის, თანასწორობის და შეთნხმების მქადაგებლად, იდეოლოგად. ამასობაში შესწყდა საერთაშორისო მსოფლიო ომიც. გვეგონა, ღმერთმა გვიშველა და გამოვედით სამშვიდობოზე! ხელიც მივყევით მოპოებული თავისუფლების განმტკიცებას, მიღებულ ჭრილობათა და წყლულთა დაამებას. მაგრამ შეჰშურდა მცდურს ჩვენი ბედნიერება, ჩვენი თავისუფლება. მან განიზრახა ისევ ომიანობის ცეცხლში ჩვენი გაწვევა და მისს ალში ჩვენი თავისუფლების განაცარ მტვერება; განიზრახა ამიერკავკასიის ერთა არევ-დარევა, მათი სოლიდარობის, შეთანხმების სამუდამოდ ჩაშლა; ჭეშმარიტად თქმულ არს სამღვთო წერილში: „შურმან შეიპყრას ერი უსწავლელიო“ დიახ, ასეთმა საარაკო „შურმა“ შეიპყრა ჩვენი მეზობელი, საქრისტიანო სომხეთი. ამან მოამაგე საქართველოს მახვილი ჩასცა ზურგში; მოულოდნელად, მუხანათურად, თავს დაგვესხა, გადმოლახა ჩვენი საზღვრები და დღეს ჩვენ შორის ომი სწარმოებს; უკვე დაიღვარა უმანკო სისხლი ჩვენი მოდარაჯე რაზმისა. დღეს, როდესაც მთელ ქვეყნიერებაზე ომი შეწყდა,—სომეხ-ქართველთა ომია გაჩაღებული.

ჩვენ, ქართველებს, არასოდეს ომი არ გვიწარმოებია სომხებთან, პირიქით, დევნილ აოხრებულ, აყრილ—აკლებულ სომხის ერისათვის არა ერთხელ და დღესაცკი ფართოდ კარები გაგვიღია, შეგვიხიზნავს, სახლში შეგვიყვანია, ლუკმა პური გაგვიყვია და მათთვისაც მიგვიწოდებია, მასპინძლობა გაგვიწევია, შეგვიტკბია, შეგვიბრალებია. ეს ყოველი ვერ დააფასეს უბედურ ერის უგუნურმა შუღლით დაბრმავებულმა ხელმძღვანელებმა, ასე უმადურად ასე უზრდელად, ზედ დაგვიფურთხეს. სტუმრები მასპინძელს გარედ გვერეკებიან; ჩვენს მიწა-წყალს, წინაპართა წმინდა საფლავებს და თვით დედა-ქალაქ ტფილისსაც კი გ ედავებიან; თავიანთ სამშობლოს დამკარგავნი ჩვენში ეძებენ ახალ სამშობლოს.

მშვიდობიანი ქართველი ერი სხვისას არას დაიჩემებს, მაგრამ არც თვისას დაანებებს ვისმეს ქართველი ერი არავის მიუხტება თვით, მაგრამ მომხდურსკი მძლავრად დახვდება. ჩვენს ერს იშვიათად რომ ეწარმოებიოს მიმხდური ომი, ის მუდამ ჟამ იგერიებდა ხოლმე უამრავ მომხდურ ურდოებს მტრებისას, ამ ხანადაც საქართველოს რესპუბლიკამ „საუკუნო ნეიტრალიტეტი“ გამოაცხადა,—რომ მას არ სურს ვისმეს მტრობაში და ვისმესთან ომიანობაში ჩაერიოს; რომ მას თავისუფალი კულტურული განვითარება და პატივს სცემს მეზობელ ერთა ასეთსავე თავისუფლების და წინმსვლელობის სურვილს.

დღეს კი ამ მხრივ საქვეყნო სირცხვილში ჩაგვაგდო მეზობელმა სომხის ერმა. რა არის ჩვენშორის წარმოებული დღევანდელი ომი თუ არა საქვეყნო სირცხვილი და გაბიაბრუება?; ამით თითქოს ასე სურთ ამცნონ ქვეყანას, რომ კავკასიის ერებს, მათ შორის ქართველებსაც და სომხებსაც, არ ძალგვიძსთ ძმური, და მშვიდობიანი, დამოუკიდებელი ცხოვრება—ურთიერთობა, ჩვენ ისევ უცხო მზრუნველი, გარეშე ოპეკუნი გვჭირდება,—მოდით გვიუფლეთო; აი რა აზრი აქვს დღევანდელ მათ შემოჭრას ჩვენს მიწა-წყალში და მათგნით მუხანათურად დაღვრილ სისხლს ჩვენი სამშობლოის დამცველებისას მაგრამ, მუდამ მოანგარიშე სომხობას, დღეს ეს ანგარიშიცკი შეჰშლიათ. ისინი ვერ შესძლებენ ამიერავკასიის ერთა სოლიდარობის დარღვევას: ისინი ვერ გააგდებინებენ ქართველობას ხელიდან ამ სოლიდარობის კვერთხს რომელიც ასე დარბაისლად ჳვიღეთ ხელში. სომხები ვერ შეგვაძულებენ ჩვენერ თმანეთს; ვერ შეგვაძულებენ ისინი თავისუფლებას.



**კოტე გიორგ. ბილანიშვილი**
პატარძეულელი, გვარდიის შემდგ-ხელმძღვ., გარდ. თებერ. 12. თავ დადებული მებრძოლ-მუშაკი იყო.

(დასასრული იქნება)

დეკ.
ნ. თალაკვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სინამდვილე

ცა შეტორტმანდა; შეირყა მთელი
ბნელით მოსილი მსოფლიოს არე.
ჩაგრულთ ბ ნაკში დროშა ფრიალებს,
მხოლოდ მჩაგვრელთა ცივი სამარე. .
ცა მხიარულობს ; ღედამიწასაც
თანდათან შვებს ს ეძება ფერი:
ტანჯულსა მონას ძველის ნანგრევზე
სიწითლის მოაქვს ნაზი ელფერი..

ცრემლ-ნადენი

## ივანე რაჭველის ხსოვნას

1

შენი სამშობლოს აყვავებას ეტრფოდი, გსურდა,
რომ შეგეწირა რაც კი გქონდა ღონე და ძალი,
და მართლაც სანამ არ მოესწარ მის აყვავებას,
არ დაგიხუჭავს ჭორს მჭვრეტელი ეგ შენი თვალი.

2

მშვიდობით ძმაო, ნეტარ იყოს შენი ხსენება,
ისე უმწიკვლოთ აღასრულე სამშობლოს ვალი;
ეხ გწ მდეს მუდამ ღირსეულად მოიგონებენ,
შენს მგვან მოღვაწეს აწმყო, ნამყო და მომავალი:

ვარდენ ყიფიანი

## მთის ნიავი

### გრ. გერ. მეგრელიშვილი

მთის ნიავივით წმინდა, ნაზი, სათუთი და სუფთა იყო ის ჭაბუკი, სამშობლოს იანვრის 31 ახალციხეში რომ შეეწირა იგი იყო მოხუც დედმამის ერთად ერთი ვაჟიშვილი (ჩოხატაურელი), ნიჭიერი მგოსანი, ქართულ უნივერსიტეტის სტუდენტი 20-21 წლ. რომლის მაღალი ბუნება მხოლოდ მომავალში უნდა გაფურჩქვნილიყო.

პირველი ლექსი დაიბეჭდა ამ ხუთიოდე წლის წინად ,,ბათუმის გაზეთში'' ფარცხნელის ფსევდონიმით. შემდეგ ლამაზ ლექსებს ათავსებდა ჟურ. ,,თეატრი და ცხოვრება''-ში, თემში, ,,სახალხო საქმე''-ში, და სხ.

მან პირველი ლექსებითვე მიიპყრო საყოველთაო ყურადღება. იყო ფხიზელი გონების, მეტად ნაზი შემოქმედების და ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოვებული.

უკანასკნელ ხანს ისე რიგად არა ბეჭდავდა, და დიდს ნაწარმოებთ ამზადებდა, მეცადინეობდა; მუშაობდა, მაგრამ ოდესაც მამულმა მოქმედება მოითხოვა, გრ. მეგრელიშვილმა კალამი გვერდზე მისდო ქართველ ლეგიონერად ჩაეწერა და სრულის შეგნებითაც ემსხვერპლა მამულის თავისუფლებას.

ვაგლახ, რომ ასეთი ნორჩი ყვაილნი გვაკლდებიან, მაგრამ უფრო სავაგლახო იქნებოდა, რომ ასეთი სულით მტკიცე ახალგაზრდობა არ გამოგვჩენოდა. გრ. მეგრელიშვილის ხან მოკლე სიცოცხლე და სიკვდილიც იმდენად ლამაზი იყო, რომ მამული არ დაივიწყებს!..

დაე, ნუმცა დაგველევა ასეთი თავგანწირულება.

**ნინო ორბელიანისა**, დამსახურებული მგოსანი ქალი, რომელიც თითქმის სამოცდა ათი წელიწადი მწერლობდა (1850 წლიდგან), მარტის 17 გარდაიცვალა თავშესაფარში. მთავრობამ მის დასაკრძალავად გადასდო 5000 მან. დაიკრძალა ქართველ მწერალთა კავშირის თაოსნობით. დაკრძალვას დაესწრენ მთავრობის; დამფუძნებელ კრების, მწერლობის და სხ. წარმომადგენლნი, აგრეთვე მახლობელ მეგობარნი. დაიკრძალა დიდუბეში. სამარესთან სიტყვა წარმოსთქვა იოსებ იმედაშვილმა (მწერალთა კავშირისა და „თეატრი და ცხოვრების სახელით), ლექსი მგოსანმა დარია ახვლედიანისამ.

**ი. ი. ოცხელი**, შესანიშნავი მოღვაწე პედაგოგი, გარდაიცვალა ქუთაისში. დაწვრილებით შემდეგ.



**ვლ. ვ. ჩხაიძე**
სანაინთან ქართველ-სომეხთა ბრძოლაში გმირულად დაღუპული ჯარის კაცი, რომელიც პირველად 11 კაცით შეებრძოლა მომსდურ მტერს. დაკრძალულია ს. ვარანცოვკაში.

ყველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი
უცხო სიტყვათა
ლექსიკონი
შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ, მეორე შევსებულ-შესწორებული გამოცემა. ფასი 30 მანეთი

## ქართული ლატარია

დავანებოთ თავი ყველაფერს და ყველას!
ერთი კითხვა მწვავი ახლა ითხოვს შველას,
ჯერ არ დაგვირგვინდა ლატარიის ბვდი,
ხელოვნება გვინდა განათლების სვეტი.
ეხლა ლექსი აქებს. ჩვენი ქვეყნის მმართველს,
ყველა მოქალაქეს, ყველა ერთგულ ქართველს:
მიკვამშურეთ მალე ჩვენ გაიწვლით გზასა..
სწრაფად დაიცალა, ბილეთების კასა!
მსურს მუდამ უმღერო, ერს სხვა ფიქრით გართულს:
„მოაშურე ერო; ლატარიას ქართულს''.

## რედაქციისგან

უზომო სიძვირემ დიდი ხარჯები მოგვთხოვა. ჟურნალ ,,თეატრი და ცხოვრების'' საგამომცემლო ფონდის გასაძლიერებლად რედაქციაში (ბაზრის ქ. №20, ძველი მეწიგნეების რიგზე, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ) მიღება შემოწირულება. დაეხმარეთ ჟურნალის ფონდს. **რედ**

ჟურნალ ,,**თეატრი და ცხოვრება**''-ს ფონდის გასაძლიერებლად შემოსწირეს:

| | | |
|---|---|---|
| 1] | გ. ნ. დიასამიძემ | — 100 მ. |
| 2] | ჰაიდარ აბაშიძემ | — 100 მ. |
| 3] | შაქრო დიმ. ფალავანდიშვილმა | — 100 მ. |
| 4] | მ. ნ-შვილმა | — 50 მ. |

შემომწირველთ გულითად მადლობას ვუძღვნით **რედ**.

სამხატვრო ,,საქართველო''

**ხ ლოვ ნ მხატვარ დიანოზ შ კი ნაველიძისა**

ადიდებს ფოტოგრაფიულ სურათებს, ასრულებს ყოველგვარ მხატვრულ საქმეს, იღებს საეკლესიო და სხვა შენაკვეთებს, ამზადებს დროზე, საუცხოოდ და ფაქიზად. მისამართი: 1) მეცრე კომისარიატი, თავისუფლების ქ. (სამავოდნი ქ.) № 1 2) „თეატრი და ცხოვრების“ რედაქცია.

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**